პოსტსამშობიარო სარეაბილიტაციო ცენტრის პოტენციალის კვლევა საქართველოში

მარიამ თოთლაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროექტის ხელმძღვანელი: ქრისტინე ლორთქიფანიძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნაშრომში გამოყენებული გარკვეული მონაკვეთები აღებულია „აკადემიური წერის" კურსის ფარგლებში, ჩემს მიერ შესრულებული სიმულაციური სამაგისტრო ნაშრომიდან.

მარიამ თოთლაძე

2021 წელი

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი პოსტნატალური სარეაბილიტაციო ცენტრის საჭიროების დადგენაა საქართველოში, ასევე იმის აღმოჩენა, თუ რა გავლენა აქვს სწორად დაგეგმილ პოსტნატალურ პერიოდს მშობიარობის შემდგომი სტრესის შემსუბუქებასა და დეპრესიის პრევენციაზე. საკვლევი ჰიპოთეზა გულისხმობს, რომ სარეაბილიტაციო ცენტრის არსებობა ხელს შეუწყობს პოსტნატალური პერიოდის გამარტივებას და სტრესის მინიმიზაციას, რაც თავისთავად შეამცირებს დეპრესიის რისკს.

ჰიპოთეზა გადამოწმდა კვლევით, რომელშიც მონაწილეობა 410-მა ქალმა მიიღო. შედეგებით ირკვევა, რომ პოსტსამშობიარო რეაბილიტაციას ქალების 60% საჭიროებს, ხოლო გამოკითხულთა 69% თვლის რომ სარეაბილიტაციო ცენტრი საქართველოში ძალიან ეფექტური იქნება, რადგან ამ ტიპის ცენტრის არსებობა შეამცირებს პოსტსამშობიარო სტრესს და დედებს მიეცემათ სრული რეაბილიტაციის საშუალება. ძირითადი მიზეზი, რის გამოც ქალები უარს იტყოდნენ ამ ტიპის ცენტრში რეაბილიტაციაზე, ფინანსური ფაქტორია. ამგვარად, კვლევის შედეგებმა დაადასტურა საკვლევი ჰიპოთეზა.

კვლევამ შექმნა ცოდნა პოსტსამშობიარო პერიოდის სწორი მენეჯმენტის კუთხით საქართველოში, პოსტსამშობიარო სარეაბილიტაციო ცენტრის დაარსების სახით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პოსტსამსობიარო პერიოდი; პოსტსამშობიარო სტრესი; პოსტსამშობიარო დეპრესია; მშობიარობის შემდგომი რეაბილიტაცია; პოსტსამშობიარო სარეაბილიტაციო ცენტრი.

Abstract

The purpose of the research is to identify the need for postnatal care centers in Georgia as well as determine the role of properly planned postpartum period in alleviating postnatal stress and depression. The hypothesis is predicated on the assumption that the existence of postpartum care centers will ease postnatal period and minimize the associated stress that, in the final analysis, will reduce the risk of depression.

To verify the hypothesis, 410 women were surveyed. The research demonstrates that 60% of women need postnatal care. 69% of respondents think that postpartum care centers will be highly effective in Georgia for the existence of such facilities will reduce postpartum stress and enable mothers to fully recover after delivery. The main reason why women may abstain from using such services is the lack of financial means. It is worthy of noting that the hypothesis was verified by the research findings.

The research helped raise awareness around the issues in question, precisely, the role of postnatal care centers in the proper management of postpartum period.

Key words: postpartum period; postpartum stress; postpartum depression; postnatal rehabilitation/recovery; postnatal care center.